განათლების საერთაშორისო სტანდარტი 7

უწყვეტი პროფესიული განვითარება (2014)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო 1-7

ძალაში შესვლის თარიღი 8

მიზანი 9

მოთხოვნები

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობ**ა** 10

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა 11

უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის 12–16

მონიტორინგი და მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა 17

ახსნა-განმარტებითი მასალა

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ა1–ა4

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობ**ა** ა5

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა ა6–ა9

უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის ა10–ა13

შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა ა14–ა15

დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა ა16–ა20

კომბინირებული მიდგომა ა21

მონიტორინგი და მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა ა22–ა31

შესავალი

სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა1–ა3)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროფესიონალი ბუღალტრებმა უნდა განივითარონ და შეინარჩუნონ პროფესიული კომპეტენ-ტურობის ისეთი დონე, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად თავიანთი დამკვეთების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და, შესაბამისად, აამაღლონ საზოგადოების ნდობა პროფესიის მიმართ.
2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წევრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტ პროფესიული განვითარებაზე, წინამდებარე გსს-ის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ეს სტანდარტი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სასწავლო დაწესებულებების, დამსაქმელი ორგანიზაციების, მარეგულირებელი ორგანოების, სახელმწიფო უწყებებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც მატერიალურად უწყობს ხელს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლებასა და განვითარებას.
3. ვინაიდან თავად ყოველი პროფესიონალი ბუღალტრის ვალდებულებაა პროფესიული კომპეტენტურობის განვითარება და შენარჩუნება უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, წინამდებარე სტანდარტი ეხება ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს, რადგან მათი როლი იმაში მდგომარეობს, რომ:
   ა) დაეხმარონ პროფესიონალ ბუღალტრებს სამისდღეშიო სწავლის ვალდებულების შესრულებაში;
   ბ) ადვილად ხელმისაწვდომი გახადონ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და რესურსები;
   გ) დაადგინონ მოთხოვნები, რომლებიც ეხება შეფასების, მონიტორინგისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების დაცვის შემოწმების სათანადო მეთოდების/პრო-ცედურების განსაზღვრასა და დანერგვას, რათა დაეხმარონ პროფესიონალ ბუღალტრებს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებაში ისეთ დონეზე, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

4. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესი საწყისი პროფესიული განვითარების პროცესის გაგრძელებაა, რაც, თავის მხრივ, არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები, უპირველეს ყოვლისა, ეუფლებიან კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად. უწყვეტი პროფესიული განვითარება კი არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულების შემდეგ და რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრები განავითარებენ და ინარჩუნებენ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთ დონეს, რაც მათ თავიანთი როლის/ფუნქციების მუდმივად კომპეტენტურად შესრულების შესაძლებლობას აძლევს. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შეძენილი (ა) პროფესიული ცოდნის, (ბ) პროფესიული უნარების, (გ) პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმებისა და (დ) კომპეტენტურობის უწყვეტ განვითარებასა და სათანადო დონეზე სრულყოფას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა შეასრულონ პროფესიული საქმიანობა და დაკისრებული ვალდებულებები. გარდა ამისა, პროფესიონალ ბუღალტრებს თავიანთი კარიერის მანძილზე შეიძლება მოუწიოთ ახალი ფუნქციების შესრულება, რისთვისაც აუცილებელი იქნება კომპეტენტურობა ახალ სფეროებში. ასეთ შემთხვევაში, პროფესიონალი ბუღალტრების ისეთ ფუნქციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს თეორიული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების უფრო მეტად გაფართოებას, ან გაღრმავებას, შეიძლება აუცილებელი გახდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების ისეთი პროგრამები, რომლებიც ბევრ ისეთ ელემენტს შეიცავს, რომელსაც ითვალისწინებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამა.

5. უწყვეტი პროფესიული განვითარება განათლების, პრაქტიკული გამოცდილებისა და პრაქტიკული მომზადების გარდა მოიცავს სწავლისა და განვითარების ისეთ ღონისძიებებსაც, როგორიცაა (ა) ქოუჩინგი და მენტორობა, (ბ) პროფესიული ინფორმაციის გაცვლა, (გ) დაკვირვება, ანგარიშების მომზადება სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ და რეფლექსია და (დ) ცოდნის შეძენა არაფორმალური გზით, პიროვნების შეხედულებების მიხედვით.
6. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის შედეგად შეძენილი ცოდნის შეფასება შესაძლებელია სამი მეთოდით:
   ა) შეფასება შედეგებზე დაფუძნებული მიდგომით – როდესაც პროფესიონალ ბუღალტრებს მიღწეული შედეგების მიხედვით მოეთხოვებათ იმის დემონსტრირება, რომ მათ განივითარეს და შენარჩუნებული აქვთ პროფესიული კომპეტენტურობა;
   ბ) შეფასება დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით – როდესაც პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ადგენენ სასწავლო ღონისძიებების მოცულობას, რაც აუცილებელია პროფესიული კომპეტენციის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის; და
   გ) კომბინირებული მეთოდით – შეფასება შედეგებსა და დასწრებაზე დაფუძნებული შეფასების მეთოდების ელემენტების გაერთიანებით: სასწავლო ღონისძიებების აუცილებელი მოცულობის დადგენითა და მიღწეული შედეგების დემონსტრირებით, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ინვითარებდნენ და ინარჩუნებდნენ პროფესიულ კომპეტენ-ტურობას.

7. წინამდებარე სტანდარტსა და *პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში* (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ *ტერმინების გლოსარში* (2015).

ძალაში შესვლის თარიღი

8. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან.

მიზანი

9. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენტურობის განვითარება და შენარჩუნება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის შემდეგ ისეთი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია, საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად დამკვეთების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მოთხოვნები

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (იხ. პუნქტი ა5)

10. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობის პროპაგანდას და პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებას ვალდებულების შესრულებას.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა (იხ. პუნქტები ა6–ა9)

11. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და რესურსები, რათ დაეხმარონ პროფესიონალ ბუღალტრებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნების პირადი ვალდებულების შესრულებაში.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის (იხ. პუნქტები ა10–ა13)

12. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა ყველა პროფესიონალი ბუღალტერს უნდა მოსთხოვონ უწყვეტი პროფესიული განვითარება ისეთი დონის, რაც ხელს შეუწყობს მათი სამუშაო ადგილისა და პროფესიული მოვალეობების შესაფერისი პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებას.

13. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტი პროფესიული განვითარების შედეგების შესაფასებლად შემდეგი სამი მოდელიდან უნდა დაადგინონ მათთვის უპირატესი მიდგომა: შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა, დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა ან კომბინირებული მიდგომა.

შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა (იხ. პუნქტები ა14–ა15)

14. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომას დანერგავენ/გამოიყენებენ, ყველა პროფესიონალ ბუღალტერს უნდა მოსთხოვონ სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების დემონსტრირება პერიოდულად ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენით, რომლებიც:

ა) შემოწმებულია კომპეტენტური წყაროს მიერ; და
ბ) შეფასებულია კომპეტენტურობის შეფასების ადეკვატური მეთოდით.

დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა (იხ. პუნქტები ა16–ა20)

15. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც დასწრებაზე დაფუძნებულ მიდგომას დანერგავენ/გამოიყენებენ, ყველა პროფესიონალი ბუღალტერს უნდა მოსთხოვონ:

ა) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ სულ მცირე 120 საათიანი (ან სწავლების სხვა ეკვივალენტური ერთეულები) პროფესიული განვითარების შესაფერისი კურსის/სემინარის დასრულება, საიდანაც 60 საათი აუცილებლად შემოწმებადი უნდა იყოს.
ბ) წელიწადში ერთხელ სულ მცირე 20 საათიანი (ან სწავლების სხვა ეკვივალენტური ერთეულები) პროფესიული განვითარების შესაფერისი კურსის/სემინარის დასრულება; და
გ) სასწავლო ღონისძიებების შედეგების შეფასება, რომლებიც აკმაყოფილებს (ა) და (ბ) პუნქტების მოთხოვნებს.

კომბინირებული მიდგომა (იხ. პუნქტი ა21)

16. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ერთობლივად დანერგავენ/გამოიყენებენ შედეგებსა და დასწრებაზე დაფუძნებულ მიდგომებს, უნდა შეასრულონ წინამდებარე გსს-ით განსაზღვრული მოთხოვნები, საჭიროებისამებრ, რომლებიც ეხება შედეგებზე დაფუძნებულ მიდგომასა და დასწრებაზე დაფუძნებულ მიდგომას.

მონიტორინგი და მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა (იხ. პუნქტები ა22–ა31)

17. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა დანერგონ სისტემური პროცედურული პროცესი, რათა (ა) გააკონტროლონ, პროფესიონალი ბუღალტრები ასრულებენ თუ არა ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ დადგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებს და (ბ) სათანადო დისციპლინარული ზომები მიიღონ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ახსნა-განმარტებითი მასალა
სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები 1–7)

ა1. დღითი დღე სულ უფრო მეტად იზრდება ცოდნის ის დონე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქციები. პროფესიონალი

ბუღალტრების კომპეტენტურობას სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ და პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენციის მიმართ მოლოდინის მუდმივი ზრდა დამახასიათებელია ეკონომიკის ყველა სექტორისთვის. პროფესიული კმპოეტენტურობის უწყვეტ განვითარებასა და შენარჩუნებას და სამისდღეშიო სწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუკი პროფესიონალი ბუღალტერი უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივ მოლოდინს. ვინაიდან პროფესიონალ ბუღალტრებს საქმიანობა უწევთ მუდმივად ცვალებად გარემოში, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რომ ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პერიოდულად გადახედონ თავიანთ პოლიტიკას უწყვეტი პროფესიული განვითარების სფეროში და ასევე წინამდებარე სტანდარატის გამოყენებას.

ა2. უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულების შესრულება, თავისთავად, არ არის იმის გარანტია, რომ ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ყოველთვის ყველას მაღალი ხარისხის პროფესიულ მომსახურებას გაუწევს. იმისათვის, რომ პროფესიონალი ბუღალტრის მიერ შესრულებული პროფესიული მომსახურება ყოველთვის მაღალი ხარისხის იყოს, აუცილებელია ეთიკური ქცევა, პროფესიული განსჯა, ობიექტური პოზიცია და მათ საქმიანობაზე სათანადო ზედამხედველობის გაწევა. გარდა ამისა, არც იმის გარანტია არსებობს, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩართული ყველა პროფესიონალი ბუღალტერი მიიღებს სრულ სარგებელს ამ პროგრამიდან, რადგან ამაზე გავლენას იქონიებს პროფესიონალი ბუღალტრის ნება და მისი სწავლის უნარი/შესაძლებლობები. თუმცაღა, უწყვეტი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან პროფესიონალ ბუღალტრებს საშუალებას აძლევს, განივითარონ და შეინარჩუნონ მათი სამუშაო ადგილისა და პროფესიული მოვალეობების შესაფერისი პროფესიული კომპეტენტურობა. ამგვარად, უწყვეტი პროფესიული განვითარება, გარკვეული თანდაყოლილი შეზღუდვების მიუხედავად, მაინც საზოგადოების ნდობისა და რწმენის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ა3. კარგად ორგანიზებული უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა, რომლის მონიტორინგი და შეფასება სათანადოდ ხორციელდება, შეიძლება იყოს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების/პროცედურების ნაწილი. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შეიძლება მოიცავდეს (ა) პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი მიმოხილვას (რაც, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს პროფესიონალი ბუღალტრის მიერ გავლილი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის მიმოხილვას), (ბ) დადგენილი მოთხოვნების შესრულების გამოკვლევას და (გ) ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სათანადო დისციპლინარულ ზომების გატარებას.

ა4. სამისდღეშიო სწავლა მოიცავს სწავლისა და განვითარების ყველანაირ ღონისძიებას, როგორც ფორმალურს, ისე არაფორმალურს, რომლის მიზანია ცოდნის ამაღლება, უნარების, ეთიკისა და ქცევის გაუმჯობესება და განმტკიცება პირადი, საზოგადოებრივი, სოციალური და დასაქმებასთან დაკავშირებული პოზიციიდან. სამისდღეშიო სწავლის ვალდებულება ეხება ყველა პროფესიონალ ბუღალტერს, იმის მიუხედავად, სად საქმიანობს ის, ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში თუ სხვა სფეროებში.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (იხ. მე-10 პუნქტი)

ა5. ქვემოთ განხილულია ღონისძიებების მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებას:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების რეგულარული ინფორმირება უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობის შესახებ;

ბ) უწყვეტი პროფესიული განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობებით პროფესიონალი ბუღალტრების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; და

გ) დამსაქმებელებთან მუშაობა იმ მიზნით, რომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობაზე ორგანიზაციების საქმიანობის მართვის პროცესებში.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა (იხ. მე-11 პუნქტი)

ა6. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ უშუალოდ თვითონ უზრუნველყონ პროფესიონალი ბუღალტრები უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაფერისი პროგრამებით, ან პროფესიონალი ბუღალტრებს გაუადვილონ სხვების მიერ (მათ შორის, დამსაქმებლების) შეთავაზებულ პროგრამებში ჩართვა.

ა7. ქვემოთ განხილულია სასწავლო ღონისძიების რამდენიმე მაგალითი, რომელთა განხორციელება შესაძლებელია უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში:

ა) მონაწილეობა სასწავლო კურსებში, კონფერენციებსა და სემინარებში;

ბ) თვითგანვითარება, პიროვნების შეხედულებისამებრ;

გ) სწავლება სამუშაო ადგილზე;

დ) ტექნიკური კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობა;

ე) პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ამა თუ იმ სფეროსთვის სასწავლო კურსის პროგრამის შემუშავება, ან უწყვეტი პროფესიული განვითარების სასწავლო შეხვედრების ორგანიზება;

ვ) პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ფორმალური სწავლა;

ზ) მონაწილეობა და სიტყვით გამოსვლა კონფერენციებზე, ბრიფინგებზე ან შესაფერისი საკითხების განხილვებში;

თ) სტატიების, მოხსენებების ან წიგნების დაწერა ტექნიკურ ან პროფესიულ საკითხებზე, ან სამეცნიერო ნაშრომების დაწერა;

ი) სამეცნიერო კვლევა, მათ შორის პროფესიული ლიტერატურის, ან ჟურნალების გაცნობა, რაც პიროვნებას გამოადგება პროფესიონალი ბუღალტრის როლის/ფუნქციების შესრულებაში;

კ) პროფესიულ განვითარებაში დახმარება სხვებისთვის, მენტორის ან ქოუჩის როლში; და

მ) პროფესიულ განვითარებაში დახმარების მიღება ქოუჩის ან მენტორისგან.

ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მითითებების მიცემა იმის თაობაზე, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის განმეორებით მიმართონ ერთ ღონისძიებას (მაგალითად, გაიარონ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების ერთი და იგივე სასწავლო კურსი, განკუთვნილი სხვადასხვა აუდიტორიისთვის).

ა8. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ პროფესიონალი ბუღალტრების უზრუნველყოფა სათანადო მექანიზმებით, რაც მათ დაეხმარებათ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაფერიისი პროგრამის არჩევაში. მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრების უზრუნველყოფა:

ა) კომპეტენტურობის სქემებით, სადაც მოცემულია ძირითადი კომპეტენციების ჩამონათვალი, პროფესიის კონკრეტული სფეროების, ან პროფესიონალი ბუღალტრის კონკრეტული როლის/ფუნქციების მიხედვით; და

ბ) სასწავლო გეგმების ნიმუშები, რაც პროფესიონალ ბუღალტრებს დაეხმარება სწავლისა და განვითარების მოთხოვნილებების დადგენაში და როგორ უნდა შეასრულოს ისინი.

ა9. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა შეიძლება განიხილონ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მითითებების მიცემის საჭიროების საკითხი, რომლებიც პროფესიონალ ბუღალტრებს დაეხმარება თავისი უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხის დამსაქმებლებთან, კოლეგებთან და ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებთან ერთად განხილვაში, რათა პროფესიონალი ბუღალტრები დაეხმარონ მათ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამაში გამოტოვებული კომპეტენტურობის სფეროების, ან სასწავლო თემების დადგენაში და, აქედან გამომდინარე, ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სწავლებისთვის შესაფერისი შესაძლებლობების განსაზღვრაში.

უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის
(იხ. პუნქტები 12–13)

ა10. უწყვეტი პროფესიული განვითარება ეხება ყველა ყველა პროფესიონალ ბუღალტერს, იმის მიუხედავად, ეკონომიკის რომელ სექტორში ან რა სიდიდის ორგანიზაციაში მუშაობს, ვინაიდან:

ა) ყველა პროფესიონალ ბუღალტერს გააჩნია სათანადო გულისხმიერების/ზრუნვის ვალდებულება თავიანთი დამკვეთების, დამსაქმებლებისა და შესაფერისი დაინტერესებული მხარეების მიმართ და ისინი მოელიან, რომ პროფესიონალი ბუღალტრები წარმოაჩენენ ამ ვალდებულების კომპეტენტურად შესრულების უნარს;

ბ) ნებისმიერ სექტორში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტერს გააჩნია საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება და საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ვალდებულება;

გ) საზოგადოება, სავარაუდოდ, ენდობა პროფესიონალი ბუღალტრის ტიტულსა და მის პროფესიულ რეპუტაციას. პროფესიონალი ბუღალტრები პროფესიულ თანამდებობებზე მუშაობენ. თუ პროფესიონალი ბუღალტერი კომპეტენტური არ იქნება, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შეილახება პროფესიონალი ბუღალტრის, მისი დამსაქმებლის და, საერთოდ, მთელი პროფესიის რეპუტაცია;

დ) სწრაფად ცვალებადმა გარემო პირობებმა შეიძლება გავლენა იქონიოს პროფესიონალი ბუღალტრის კომპეტენტურობის ადეკვატურობაზე; და

ე) დამსაქმებლები, რომლებიც პროფესიონალ ბუღალტრებს ქირაობენ, გარკვეულწილად, მის პროფესიულ ტიტულს ეყრდნობიან, როგორც კომპეტენტურობის დამადასტურებელ წყაროს.

ა11. უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების დადგენასთან დაკავშირებით ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ კარგად გააანალიზონ, კონკრეტულ გარემოებებში რა არის შესაფერისი და მისაღები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, მაგალითად:

ა) იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც ამ მომენტში არ ეწევიან პროფესიულ საქმიანობას;

ბ) იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ სრულ განაკვეთზე მუშაობის შედეგად, მაგრამ ისევ აგრძელებენ პროფესიონალი ბუღალტრის ტიტულის გამოყენებას, ან ისევ აგრძელებენ მუშაობას რომელიმე რანგში.

ა12. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით ისეთი მოთხოვნების დადგენა ან მითითებების შემუშავება, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევენ თავიანთი წევრი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის შესაფერისი პროფესიული როლისა და ფუნქციებისთვის. მეორე მხრივ, უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებების ადეკვატურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მათ შეუძლიათ დაეყრდნონ პროფესიონალი ბუღალტრების განსჯას. ასევე შესაძლებელია მოთხოვნების დადგენა გარკვეული სფეროებისთვის, ხოლო დანარჩენ სფეროებში პროფესიონალი ბუღალტრებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის არჩევის უფლების მიცემა.

ა13. საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ სპეციალური ან დამატებითი მოთხოვნების დადგენა იმ პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, რომლებიც სპეციფიკურ სფეროებში საქმიანობენ, ან სპეციფიკურ თანამდებობებზე მუშაობენ, ან მაღალრისკიან სფეროებში მუშაობენ.

შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა (იხ. მე-14 პუნქტი)

ა14. შედეგზე დაფუძნებულ შეფასების სისტემებში მნიშვნელოვანია მტკიცებულებების შემოწმებისა და დადასტურების პროცესის საიმედოობა. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ განიხილონ, როგორ არის გათვალისწინებული მათ მიდგომაში შემდეგი ასპექტები:

ა) შედეგის ან მიღწეული კომპეტენტურობის ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბება; და

ბ) კომპეტენტური წყაროს გამოყენება, რომელსაც შეუძლია იმის დადასტურება, რომ პროფესიონალ ბუღალტერს განვითარებული და შენარჩუნებული აქვს დადგენილი შედეგი ან კომპეტენტურობა.

ა15. ქვემოთ ჩამოთვლილია იმ მტკიცებულებების მაგალითები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია შედეგზე დაფუძნებული მიდგომის დროს შემოწმებისა და დადასტურების მიზნებისთვის:

ა) ნაწერის ან გამოქვეყნებული მასალის შეფასება რეცენზენტის მიერ;
ბ) მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება;
გ) პროფესიული სტატიის ან სამეცნიერო კვლევის პროექტის შედეგების გამოქვეყნება;
დ) პერიოდული განმეორებითი გამოცდა;
ე) სპეციალისტის/პროფესიული ან სხვა კვალიფიკაცია;
ვ) შესრულებული სამუშაოს ჩანაწერები (პიროვნების სამუშაოს სარეგისტრაციო ჟურნალები), რომელიც შემოწმებული და დადასტურებულია კომპეტენტურობის სქემასთან შედარებით;
ზ) ობიექტური შეფასება, რომელიც განხორციელდა დამსაქმებლის, ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კომპეტენტურობის სქემასთან შედარებით, პიროვნების კომპეტენტურობის წარმოჩენის მიზნით;
თ) დამოუკიდებელი პრაქტიკული ინსპექტირება, რომლის მიზანია უწყვეტი პროფესიული განვითარების შეფასება; და
ი) სპეციალური ასოციაციის მიერ განხორციელებული შეფასება, ან ხელმოწერით დადასტურება, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებს კომპეტენტურობის ამაღლებას, ასევე მარეგულირებელი ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასებები.

დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა (იხ. მე-15 პუნქტი)

ა16. კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების შესაფასებლად ტრადიციულად იყენებენ დასწრებაზე დაფუძნებულ შეფასების სისტემებს, რადგან ამ მეთოდით ადვილია შეფასება და შემოწმება. დასწრებაზე დაფუძნებულ მიდგომას გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს. მაგალითად, მათი მეშვეობით ყოველთვის არ არის შესაძლებელი სწავლის შედეგების ან მიღწეული (შეძენილი) კომპეტენციის შეფასება. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს ამ შეზღუდვების გადალახვა შეუძლიათ პროფესიული კომპეტენტურობის უწყვეტი ამაღლების მიზნებისა და სამისდღეშიო სწავლის ვალდებულების შესახებ ინფორმირების გზით.

ა17. წინამდებარე გსს-ის მიხედვით დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის დროს შეფასება ხდება საათების ან სწავლების სხვა ეკვივალენტური ერთეულებით. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეფასების სხვა მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც გასაგები იქნება პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. ქვემოთ განხილულია დასწრებაზე დაფუძნებულ მიდგომაში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდების მაგალითები:
ა) სწავლების ღონისძიებაზე დახარჯული დრო;
ბ) უწყვეტი პროფესიული განვითარების პროვაიდერის მიერ სწავლების ღონისძიებაზე მიკუთვნებული ერთეულები; და
გ) ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ სწავლების ღონისძიებისთვის დადგენილი ერთეულები.

ა18. წინამდებარე სტანდარტში იგულისხმება, რომ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციები ივარაუდებენ, რომ პროფესიონალი ბუღალტრების მიერ გავლილი სასწავლო ღონისძიების გარკვეული ნაწილი შემოწმებადი იქნება. მაგალითად, სამუშაო ადგილზე პრაქტიკული სწავლების ზოგიერთი სასწავლო ღონისძიება შეიძლება შეფასებადი იყოს, მაგრამ არ იყოს შემოწმებადი (და დადასტურებადი). ამგვარი ღონისძიებებიც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და ამაღლებას, მაგრამ ვერ მიიჩნევა უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიების 60 საათიან შემოწმებად ნაწილად, რომელიც, ამ სტანდარტის მიხედვით, უნდა განხორციელდეს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

ა19. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ თვითონ იმსჯელონ, აუცილებელია თუ არა პროფესიონალი ბუღალტრებისთვის მითითებების მიცემა იმის თაობაზე, ყოველწლიური სავალდებულო 20 საათიანი სასწავლო ღონისძიების რა ნაწილი უნდა იყოს შემოწმებადი. ამგვარი ინსტრუქციების მომზადებისას ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია გაითვალისწინოს ადგილობრივი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.

ა20. ქვემოთ მოცემულია იმ მტკიცებულებების მაგალითები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის დროს შემოწმებისა და დადასტურების მიზნებისთვის:
ა) კურსის შინაარსის მოკლე აღწერა და სასწავლო მასალა;

ბ) სასწავლო ღონისძიების პროვაიდერის, ინსტრუქტორის, დამსაქმებლის, მენტორის ან პედაგოგის მონაწილეობის მტკიცებულება; და
გ) დამოუკიდებელი შეფასება იმისა, რომ სასწავლო ღონისძიება განხორციელდა.

კომბინირებული მიდგომა (იხ. მე-16 პუნქტი)

ა21. უწყვეტი პროფესიული განვითარების შეფასებისთვის კომბინირებული მიდგომის გამოყენების რამდენიმე ვარიანტი არსებობს:
ა) მოთხოვნების დადგენა როგორც შედეგზე დაფუძნებული, ისე დასწრებაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის მიხედვით, მაგრამ როდესაც დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით შეფასებულის ცოდნის სფეროების გარკვეული ნაწილი ძირითადად შეფასდება შედეგებზე დაფუძნებული მიდგომით;
ბ) იმ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, რომლებმაც შეიძლება ვერ დააკმაყოფილონ დასწრების მოთხოვნები, უფლების მიცემა, რომ უზრუნველყონ იმის შემოწმება და დადასტურება, რომ მათ განივითარეს და შენარჩუნებული აქვთ კომპეტენტურობა;
გ) დასწრების გარკვეული რაოდენობის საათების დადგენა, რომელიც, სავარაუდოდ, მოთხოვნილი კომპეტენციის მიღწევისთვის აუცილებელ მოცულობად მიიჩნევა და ამ პროცესზე მონიტორინგის განხორციელება, სასაწავლო ღონისძიების შედეგად მიღწეული კომპეტენციის შემოწმებასთან ერთად.

მონიტორინგი და მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა (იხ მე-17 პუნქტი)

ა22. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მითითებების მიცემა იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც მოპოვებული ან შექმნილი უნდა იყოს იმის დემონსტრირებისთვის, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა განივითარა ან შეინარჩუნა პროფესიული კომპეტენტურობა. ამგვარი მითითებები შეიძლება მოიცავდეს პროფესიონალი ბუღალტრების პასუხისმგებლობას:
ა) მათ უწყვეტ პროფესიულ განვიტარებასთან დაკავშირებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების შენახვაზე; და
ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, შემოწმებადი მტიცებულებების წარმოდგენაზე, რომლებიც წარმოაჩენს, რომ მათ შეასრულეს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის დადგენილი მოთხოვნები.

მონიტორინგის საკუთარი მიდგომის განსაზღვრისას, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს, პროფესიონალი ბუღალტრების რომელ სამუშაოს/თანამდებობას ახლავს მაღალი რისკი, ან ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან მიმართებით და ამის შესაბამისად აირჩიოს მონიტორინგისთვის უფრო მკაცრი მიდგომა.

ა23. მონიტორინგის პროცესი შეიძლება პროფესიონალ ბუღალტერს ავალდებულებდეს პერიოდულად:
ა) დეკლარაციის წარდგენას იმის თაობაზე, შეასრულეს თუ არა მათ პროფესიული ვალდებულება, რომელიც ითვალისიწნებს კომპეტენტურად მუშაობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შენარჩუნებას;
ბ) დეკლარაციის წარდგენას, რომელიც ადასტურებს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის დადგენილი ამა თუ იმ კონკრეტული მოთხოვნის შესრულებას; ან
გ) მტკიცებულებების წარმოდგენას სასწავლო ღონისძიებების, ან იმ კომპეტენციების შემოწმების შესახებ, რომლებიც განივითარეს და შენარჩუნებული აქვთ უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიების შედეგად, რომელიც თვითონ აირჩიეს.

ა24. მონიტორინგის დამატებით პროცედურებს განეკუთვნება, მაგალითად:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების შერჩევითი ერთობლიობის აუდიტის ჩატარება, უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესამოწმებლად;
ბ) სასაწავლო გგემების ან უწყვეტი პროფესიული განვითარების დოკუმენტების მიმოხილვა და შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში; ან

გ) საზოგადოებრივო პრაქტიკით დაკავებული დამსაქმებელებისთვის იმის მოთხოვნა, რომ მათ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები და ეფექტური მონიტორონგის სისტემები ჩართონ თავიანთ ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამებში, ხოლო უწყვეტ პროფესიული განვითარების ღონისძიებებზე მონიტორიგის განხორციელება – თავიანთ დროის აღრიცხვის სისტემებში.

ა25. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიტორინგის პროცედურების განხორციელება ციკლურ საფუძველზე. ციკლური მონიტორინგის პროცედურების განხორციელების ხანგრძლივობის დადგენისას ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რა მიიჩნევა გონივრულად მათ გარემოში. ამ მიზნით შეუძლიათ განიხილონ შემდეგი ფაქტორები: (ა) საზოგადოებრივი ინტერესი და (ბ) საზოგადოების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინები. ბსფ-ის წევრი ზოგიერთი ორგანიზაციის გამოცდილაბა გვიჩვენებს, რომ 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის ციკლებმა შეიძლება არ დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოლოდინები, ხოლო ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობის ციკლები კი, სავარაუდოდ, ძალიან მძიმე ტვირთი იქნება ბსფ-ის წევრი ორგანიზაციისა და პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.

ა26. უწყვეტი პროფრესიული განვითარების სავალდებულო სისტემა მით უფრო ეფექტიანად მუშაობს და უკეთ ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრები, რომლებიც თავის დროზე არ შეასრულებენ უწყვეტი პროფრესიული განვითარების ვალდებულებას, დროულად შეასრულებენ ამ ვალდებულებას. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაადგინონ სანქციის სახეები, რომლებსაც გამოიყენებენ უწყვეტი პროფესიული განვითარების სავალდებულო მოთხოვნის შეუსრულებელობის შემთხვევაში, თავიანთი იურისდიქციის სამართლებრივი და სხვა გარემო პირობების გათვალისიწნების შემდეგ.

ა27. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის პრობლემის მოსაგვარებლად, ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციამ, სავარაუდოდ, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა, გონივრულ ვადაში, შეასრულოს უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნა. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ ბალანსი დაამყარონ ორგვარ სანქციას შორის (ა) სანქცია, რომელიც, პრაქტიკულად, ტოლფასი იქნება პროფესიონალი ბუღალტრისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების გადავადების, ან ამ მოთხოვნის შესრულებიდან განთავისუფლების უფლების მიცემის, ან (ბ) სანქცია, რომელიც იქნება უკიდურესი სადამსჯელო ზომა.

ა28. ბსფ-ის წევრ ზოგიერთ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს პროფესიონალი ბუღალტრის ორგანიზაციიდან გარიცხვის, ან მისთვის პრაქტიკული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის იურიდიული უფლებამოსილება. გარიცხვის ან პრაქტიკული სამიანობის უფლების ჩამორთმევის სანქცია შეიძლება გამოყენებული იყოს იმ პროფესიონალი ბუღალტრების მიმართ, რომლებთან მიმართებაშიც ნათელი გახდა (ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის გამოკითხაზე პასუხიდან, ან მოთხოვნის შეუსრულებლობის გარემოებებიდან/მიზეზებიდან გამომდინარე), რომ, ისინი, სავარაუდოდ, საერთოდ არ შეასრულებენ უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებს. სანქციის კიდევ ერთი ვარიანტია, ორგანიზაციამ განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, რომ გამოაქვეყნოს იმ პროფესიონალი ბუღალტრების სახელი და გვარი, რომლებიც წინასწარგანზრახვით, შეგნებულად არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნას. პროფესიონალი ბუღალტრების ვინაობის გამოქვეყნებამ შეიძლება (ა) უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემაფერხებელი ზოგადი ფაქტორის როლი ითამაშოს და (ბ) ამგვარი სანქცია აშკარა ნიშანი იქნება საზოგადოებისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიისთვის კომპეტენციის შენარჩუნების ვალდებულება.

ა29. სანქციების დაკისრება ისეთი ქმედებაა, რომელიც სიფრთხილესა და გააზრებას საჭიროებს. ამასთან, თუ პროფესიონალი ბუღალტერი წინასწარგანზრახვით, შეგნებულად უარს ამბობს კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებაზე, ეს უკვე პროფესიული მოვალეობის დარღვევა და გამართლებულია დისციპლინარული ზომების გატარება, რადგან ამგვარი ქმედება ხელს უშლის საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

ა30. ეფექტური მონიტორინგისა და დისციპლინარული პროცედურების განსახორციელებლად აუცილებელია სათანადო რესურსები. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციამ, შეიძლება ასევე განიხილოს

წევრებისგან სპეციალური კომიტეტის ან საბჭოს შექმნის საკითხი, რომლებიც ზედამხედ-ველობას გაუწევენ უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნების დაცვასა და ასევე მონიტორინგის ადა დისციპლინარული პროცესების/პროცედურების განხორციელებას.

ა31. საზოგადოების ინტერესების დაცვის ვალდებულების შესრულების ფარგლებში ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია იმის თაობაზე, რა დონეზე იცავენ მისი წევრები წინამდებარე სტანდარტით დადგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებს.